



ონის მუნიციპალიტეტის
პრიორიტეტების დოკუმენტი

2021-2024 წლები

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ.....	3
ისტორია.....	3
მდებარეობა.....	3
ფართობი.....	3
გეოგრაფია.....	3
მმართველობის ორგანოები.....	4
მოსახლეობა.....	4
ეკონომიკა.....	5
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.....	6
საჯარო დაწესებულებები.....	6
ღირშესანიშნაობები.....	6
ბიუჯეტი.....	6
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	7
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2018-2023 წლებში.....	7
შემოსულობები.....	7
გადასახდელები.....	7
ბიუჯეტის ბალანსი.....	8
2019-2020 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა.....	9
2019 წლის ბიუჯეტის შესრულება.....	9
2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	12
თავი III. ონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.....	13
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	13
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	16
განათლება.....	17
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.....	18
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	22
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.....	26

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

ონის მუნიციპალიტეტის - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. ისტორიული ცნობებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების უძველესი ნაშთი არქეოლოგებმა მეზოლითის ხანას მიაკუთვნეს. შუა ბრინჯაოს ხანაში რაჭაში გაჩნდა დასახლება ბრილი, რომლის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას ბრინჯაოს მეტალურგია წარმოადგენდა. მთის რაჭაში აღმოჩენილია ბრინჯაოს სამეურნეო და სამხედრო დანიშნულების იარაღები, აგრეთვე კოლხური თეთრის განძი. მეცნიერების მოსაზრებით ონი დაარსა მეფე ფარნაჯომმა (ძვ.წ. II ს.). აქ გადიოდა გზები, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. 1917 წლამდე ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრაში, 1930 წლიდან იყო დამოუკიდებელი რაიონი. 1963 – 1964 წლებში შედიოდა ამბროლაურის რაიონში. 1965 წლიდან გამოეყო დღევანდელი საზღვრებით და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის შემადგენლობაში შედის.

მდებარეობა

ონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე რიონისა და მისი შენაკადების ხეობაში. აღმოსავლეთით ესაზღვრება ჯავა, დასავლეთით ამბროლაურისა და ლენტეხის, სამხრეთით საჩხერის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკები.



ფართობი

ონის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კმ²) 2%-ს, ხოლო რაჭის რეგიონის (4954 კმ²) 27%-ს შეადგენს. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1359 კმ². მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 474 კმ².

გეოგრაფია

ონის მუნიციპალიტეტის რელიეფი მთაგორიანია. სიმაღლე მერყეობს ზღვის დონიდან 600 მეტრიდან 4462 მეტრამდე, მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში. ჰავა საკმაოდ ნოტიოა ზომიერად ცივზამთრიანი და შედარებით მშრალი ცხელზაფხულიანი. აქ აბსოლუტური მინიმუმი ტემპერატურა -27°C, მაქსიმუმი +36°C, წლიური ნალექი 1000-1100 მმ-ს შეადგენს.

მთავარი მდინარე რიონი სათვეს იღებს ფასისი მთის მთავარ ქედზე ზღვის დონიდან 2960 მ. სიმაღლეზე. კავკასიონზე არის ტბები: ქვედის ტბა, უძირო ტბა. მინერალური წყაროებია შოვში, უწერაში, ონში. კავკასიონის მყინვარებია ზოფხიტო, კირტიშო, ედენა, ბუბა.

დაბალმთიან ზონაში შერეული ფართოფოთლოვანი ტყეებია, საშუალომთის ზონაში გაბატონებულია რცხილნარ-წიფლნარი, მუქწიწვიანი ტყეები, აქა-იქ ფიჭვნარიც. მთის მდელოს ნიადაგებზე სუბალპური და ალპური ბუჩქნარი და მდელოებია.

რაჭის ფაუნის სახეობრივი სიმდიდრე წარმოდგენილია 20-ზე მეტი ძუძუმწოვარი ცხოველით, 50-ზე მეტი სახეობის ფრინველით და 10-ზე მეტი სახეობის რეპტილით და ამფიბიით. ფაუნის ამ სახეობებიდან მეტად საინტერესოა ჯიხვი, რომელიც დიდი კავკასიონის ენდემია.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 33 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 17 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია; განათლების კულტურის ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური საკითხთა კომისია. 5 ფრაქცია ესენია: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „პატრიოტები“ და ფრაქცია „ონი“.

ონის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 19 ადმინისტრაციულ ერთეულს: ქალაქი ონი, ღები, ჭიორა, გლოლა, უწერა, გომი, საკაო, ღარი, შეუბანი, პიპილეთი, კომანდელი, ცხმორი, წედისი, კვაშხიეთი, ფარახეთი, სორი, შქმერი, ბარი, მრავალძალი.

მოსახლეობა

ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 5847 კაცია. მუნიციპალიტეტში 65 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 64 სოფელი.



მუნიციპალიტეტში დასახლებული 5847 მოსახლიდან 2935 ქალბატონია, ხოლო 2912 მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია 2718 პირი, სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 3129 მაცხოვრებელი.

ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,16%-ს, ხოლო, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონის 20,1%-ს შეადგენს.

ონის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3,716,900	69,700
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	29,100	4,954
ონის მუნიციპალიტეტი	5,847	1,359,4
პროცენტი საქართველოსთან	0,16%	0,001%
პროცენტი რეგიონთან	20,1%	27,4%

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 1944 პენსიონერი. 2853 სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირი. 5186 მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა სტატუსის მქონე მოქალაქე.

მოსახლეობის რიცხოვნობის კლება და დაბერება არის რეგიონის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელიც უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამ პროცესის შეჩერება და პრობლემის აღმოფხვრა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ქმედითი ზომების მიღების გარეშე, რაჭის დეპრესიულ რეგიონად ჩამოყალიბების პროცესი შეუქცევად სახეს მიიღებს.

მიუხედავად ზემოთ ხსენებული პრობლემებისა საქართველოს ამ ლამაზ კუთხეს გააჩნია მაღალი პოტენციალი, რათა იგი ამ პრობლემებიდან ამოვიდეს და ქვეყნის ერთ-ერთ წარმატებულ რეგიონად ჩამოყალიბდეს.

ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად ორიენტირებულია სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე, რაც განაპირობებს მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. ასევე ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფას და ბუნებრივი კატასტროფების რისკების თავიდან აცილებას.

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ძირითადად ემყარება სოფლის მეურნეობას (წამყვანი დარგია მეცხოველეობა, მეფუტკრეობა), გადამამუშავებულ მრეწველობას, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროებს.

ონის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყის რესურსებით, რომელსაც მაღალი თვითაღდგენის უნარი გააჩნია. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით: მოიპოვება ქვიშა-ხრეში, გვხვდება კირქვა, თაბაშირი, ბარიტი, მანგანუმი და ოქრო, ასევე მდიდარია წყლის რესურსებით, წყალუხვი მდინარეებით, მტკნარი და მინერალური წყაროებით: კურორტ უწერაში 28 სახის მინერალური წყალია, შოვში 16 სახის მინერალური წყაროა.

ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემთხვევაში ზემოთხსენებული ბუნებრივი სიმდიდრეები (კურორტები, ტყე, კულტურული ძეგლები) მიიზიდავს უამრავ უცხოელ ტურისტს, რაც გარანტია იმისა რომ ეს მხარე გამოცოცხლდეს, მოსახლეობა დასაქმდეს და დეპოპულაციის პროცესი შეიცვალოს მოსახლეობის მომრავლებით.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამი შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზა გადის გუფთა-ონი (შ-25), ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (შ-16) და საგლოლო-ჭიორა-ღების (შ-121) მიმართულების. შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზები 102 კმ-ია, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე შეადგენს 186 კმ-ს.

საჯარო დაწესებულებები

ონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

9 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 518 მოსწავლე;

ერთი საბავშვო ბაგა-ბაღი და სოფლებში არსებული ალტერნატიული სკოლამდელი განთლების ცენტრები - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტს გადის 130 ბავშვი;

ერთი სასპორტო სკოლა - სპორტის სამ სახეობას ეუფლება 110 ბავშვი;

ერთი სამუსიკო სკოლა - აქ დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს 35 მოსწავლე;

ერთი სამხატვრო სკოლა - 76 ბავშვი დაწყებით საფეხურზე ეუფლება ხატვის ხელოვნებას;

ერთი კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 220 აღსაზრდელი;

ერთი ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, რომელშიც შედის 17 სოფლის ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია 61446 წიგნადი ფონდი;

ერთი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

ერთი ახალგაზრდობის სახლი - სადაც 180 ბავშვი იღებს არაფორმალურ განათლებას.

ერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი - სადაც დაცულია 14000-ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატი.

ღირშესანიშნაობები

ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 44 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია აღრიცხული. გამორჩეულია სორის ჯვარცმის ეკლესია, მრავალძლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, უწერის ღთისმშობლის სახელობის ეკლესია, ბარის ჭბოს მთავარანგელოზის ეკლესია. მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლია კვაშხეთის ორი უძველესი მეგალითური ყორე, რომელიც მიეკუთვნება ძვ.წ. 111-11- ათასწლეულებს.

ქალაქ ონში დგას ებრაელთა სალოცავი სინაგოგა, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხის 26 საუკუნოვანი მეგობრობის სიმბოლოა. ძეგლი აშენებულია 1895 წელს ვარშავის სინაგოგის მეტად საინტერესო პროექტის მიხედვით. ონის სინაგოგას არქიტექტურული თვალსაზრისით, არა თუ საქართველოში, არამედ საკავშირო მაშტაბით ანალოგი არ მოეპოვება.

ონში მოქმედებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სადაც დაცულია არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, საღვთო ხელოვნების, ნუმუზმატიკის, ძველი ხელნაწერების და ბეჭდური წიგნების, ეკლესიის ქვების და სხვა უნიკალური ექსპონატები.

ქალაქ ონში არის საქართველოს სახალხო არტისტის, რეჟისორის გიგა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი, სოფელ ღარში საქართველოს და სსრკ-ს სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის სახლი, სოფელ წმინდაურში მწერალ რევაზ ჯაფარიძის სახლი, სოფელ კვაშხეთში პოეტ მურმან ლებანიძის სახლი. მრავალი ძეგლი და ქანდაკება.

ბიუჯეტი

ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 18.1 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელია ერთ-ერთი საუკეთესო მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის.

ბიუჯეტის შემოსულობების მცირე ნაწილი (5,3 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მუნიციპალიტეტის ძირითადი შემოსავლები შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2019-2024 წლებში

შემოსულობები

2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2021-2024 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% განაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2021-2024 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, მცირედენი ზრდით შემდგომ წლებზე, მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

ონის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2019 –2024 წლებში

	<i>ათასი ლარი</i>					
დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
შემოსულობები სულ	12,876.4	17,216.0	17,136.2	13,398.2	16,177.6	22,510.9
შემოსავლები	12,786.4	17,201.0	17,131.2	13,398.2	16,177.6	22,510.9
გადასახადები	4,091.7	4,164.4	4,850.8	5,277.1	5,706.6	6,185.9
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	3,882.1	3,964.4	4,650.8	5,057.1	5,456.6	5,925.9
ქონების გადასახადი	209.5	200.0	200.0	220.0	250.0	260.0
გრანტები	8,287.4	12,866.6	12,020.4	7,941.1	10,291.0	16,145.0
საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები	0.0	34.0	0.0	0.0	0.0	0.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	400.0	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	8,287.4	12,832.6	12,020.4	7,941.1	10,291.0	16,145.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი	186.6	480.5	105.0	138.5	141.0	145.0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	8,100.8	12,352.1	11,915.4	7,802.6	10,150.0	16,000.0
სხვა შემოსავლები	407.3	170.0	260.0	180.0	180.0	180.0
არაფინანსური აქტივების კლება	90.0	15.0	5.0	0.0	0.0	0.0

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2021-2024 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ონის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა.

ონის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2019 –2024 წლებში

	<i>ათასი ლარი</i>					
დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
გადასახდელები სულ	13,723.6	18,090.1	17,136.2	13,398.2	16,177.6	22,510.9
ინფრასტრუქტურის განვითარება	10,195.6	13,801.7	12,581.4	9,142.9	11,788.3	17,958.3
დასუფთავება და გარემოს დაცვა	309.1	410.0	410.0	432.0	465.0	500.0
განათლება	504.7	1,062.8	719.1	318.0	320.0	320.0
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	597.3	586.4	745.3	753.9	784.0	792.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	225.5	266.0	217.4	235.1	251.5	267.8
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	1,891.4	1,963.2	2,462.9	2,516.3	2,568.8	2,672.8

ბიუჯეტის ბალანსი

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2019 –2024 წლებში

	<i>ათას ლარში</i>					
დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
I. შემოსავლები	12,786.4	17,201.0	17,131.2	13,398.2	16,177.6	22,510.9
გადასახადები	4,091.7	4,164.4	4,850.8	5,277.1	5,706.6	6,185.9
გრანტები	8,287.4	12,866.6	12,020.4	7,941.1	10,291.0	16,145.0
სხვა შემოსავლები	407.3	170.0	260.0	180.0	180.0	180.0
II. ხარჯები	3,488.3	4,339.4	4,544.1	4,115.2	4,728.7	5,058.0
შრომის ანაზღაურება	1,154.1	1,165.3	1,581.2	1,303.4	1,500.4	1,603.4
საქონელი და მომსახურება	1,227.9	1,829.5	1,423.7	1,563.7	1,930.2	2,100.9
პროცენტი	27.8	36.0	34.9	23.7	20.3	16.6

სუბსიდიები	761.1	853.3	996.3	837.3	869.3	902.3
სოციალური უზრუნველყოფა	181.8	200.8	139.2	177.1	189.5	205.8
სხვა ხარჯები	135.6	254.4	368.8	210.0	219.0	229.0
III. საოპერაციო სალდო	9,298.0	12,861.7	12,587.1	9,283.0	11,448.9	17,452.9
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,117.4	13,680.1	12,531.5	8,631.5	8,917.4	9,239.4
ზრდა	10,207.4	13,695.1	12,536.5	8,631.5	8,917.4	9,239.4
კლება	90.0	15.0	5.0	0.0	0.0	0.0
V. მთლიანი სალდო	-819.4	-818.5	55.6	651.5	2,531.5	8,213.5
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-847.2	-874.1	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	14.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	14.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	861.8	874.1	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	861.8	874.1	0.0	0.0	0.0	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-27.8	-55.6	-55.6	-55.6	-55.6	-55.6
კლება	27.8	55.6	55.6	55.6	55.6	55.6
საშინაო	27.8	55.6	55.6	55.6	55.6	55.6
სესხები	27.8	55.6	55.6	55.6	55.6	55.6
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2019-2020 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2019 წლის ბიუჯეტის შესრულება

2019 წლის თორმეტი თვის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 12 630,5 ათ. ლარი, ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის იყო 1 721,3 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 14 351,8 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2019 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 12 630,5 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 12 876,4 ათ. ლარი (102%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 250,0 ათ. ლარი - ფაქტი 209,5 ათ. ლარი (84%); დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 3 715,5 ათ. ლარი - ფაქტი 3 882,1 ათ. ლარი (104%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 8 320,1 ათ. ლარი - ფაქტი 8 287,4 ათ. ლარი (99%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 40,0 ათ. ლარი - ფაქტი 44,9 ათ. ლარი (112%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 72,7 ათ. ლარი (145%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოვიდა 5,1 ათ. ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 9,0 ათ. ლარი (90%); სანებართვო მოსაკრებლის გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 7,6 ათ. ლარი (151%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 119,8 ათ. ლარი - ფაქტი 112,8 ათ. ლარი (94%); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 105,1 ათ. ლარი - ფაქტი 155,1 ათ. ლარი (148%); არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზების) გეგმა 15,0 ათ. ლარი, შემოვიდა 90,0 ათ. ლარი.

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის თვის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 14 351,8 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 13 723,6 ათ. ლარი (96%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 886,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 828,4 ათ. ლარი (97%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) გეგმა 446,3 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 435,3 ათ. ლარი (98%); ადმინისტრაციული ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 1 420,2 ათ. ლარი - ფაქტი 1 387,7 ათ. ლარი (98%); ასოცირებული საწერვო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5,5 ათ. ლარი (100%); სარეზერვო ფონდის გეგმა 14,4 ათ. ლარი.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის 66,3 ათ. ლარი - ფაქტი 63,0 ათ. ლარი (95%); ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 10 889,6 ათ. ლარი - ფაქტი 10 504,7 ათ. ლარი (97%); აქედან:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის ხარჯების გეგმა 5 035,9 ათ. ლარი - ფაქტი 4 798,2 ათ. ლარი (95%);
- გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 174,9 ათ. ლარი - ფაქტი 171,8 ათ. ლარი (98%);
- დასუფთავების ღონისძიებების ხარჯის გეგმა 308,5 ათ. ლარი - ფაქტი 306,0 ათ. ლარი (99%);
- საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა და რეაბილიტაციის ხარჯის გეგმა 1 826,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 786,8 ათ. ლარი (98%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაციის ხარჯის გეგმა 152,8 ათ. ლარი - ფაქტი 143,4 ათ. ლარი (94%);
- კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯის გეგმა 2 725,9 ათ. ლარი - ფაქტი 2 643,1 ათ. ლარი (97%);
- ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 662,2 ათ. ლარი - ფაქტი 652,3 ათ. ლარი (99%);
- ა(ა)იპ გამწვანების სამსახურის ხარჯების გეგმა 3,1 ათ. ლარი - ფაქტი 3,1 ათ. ლარი (100%);

განათლება: სკოლამდელი განათლება ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დაფინანსების გეგმა 209,9 ათ. ლარი - ფაქტი 209,9 ათ. ლარი (100%); საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის გეგმა 393,2 ათ. ლარი - ფაქტი 294,8 ათ. ლარი (75%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 610,9 ათ. ლარი - ფაქტი 597,3 ათ. ლარი (98%) აქედან:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობის, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის გეგმა 152,6 ათ. ლარი - ფაქტი 149,2 ათ. ლარი (98%);
- კულტურის განვითარების ხელშეწყობის გეგმა 323,4 ათ. ლარი - ფაქტი 321,3 ათ. ლარი (99%); მათ შორის:
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა გეგმა 37,2 ათ. ლარი - ფაქტი 37,1 ათ. ლარი (100%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 34,7 ათ. ლარი - ფაქტი 34,6 ათ. ლარი (100%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის კულტურის სახლის გეგმა 107,4 ათ. ლარი - ფაქტი 107,4 ათ. ლარი (100%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გეგმა 52,5 ათ. ლარი - ფაქტი 51,5 ათ. ლარი (98%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გეგმა 61,1 ათ. ლარი - ფაქტი 60,8 ათ. ლარი (99%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის გეგმა 30,6 ათ. ლარი - ფაქტი 29,9 ათ. ლარი (98%);
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 42,2 ათ. ლარი (84%);
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 46,2 ათ. ლარი - ფაქტი 46,2 ათ. ლარი (100%);
- ახალგაზრდული ღონისძიებების ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა შეადგენდა 38,8 ათ. ლარს - ფაქტიურად გაიხარჯა 38,5 ათ. ლარი (99%);

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 295,5 ათ. ლარი - ფაქტი 225,5 ათ. ლარი (76%) (დანართი N3, N4). მათ შორის:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსების გეგმა 47,1 ათ. ლარი, ფაქტი 37,2 ათ. ლარი (79%);

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა გეგმა 47,6 ათ. ლარი - ფაქტი 46,9 ათ. ლარი (98%);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა გეგმა 14,5 ათ. ლარი - ფაქტი 11,7 ათ. ლარი (81%);
- ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებების გეგმა 35,0 ათ. ლარი - ფაქტი 34,2 ათ. ლარი (98%);
- ვეტერანთა დაკრძალვის ღონისძიებების გეგმა 1,0 ათ. ლარი - ფაქტი 0,5 ათ. ლარი (50%), არ შემოსულა განცხადება და პროგრამაც არ შესრულდა;
- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები გეგმა 9,0 ათ. ლარი - ფაქტი 9,0 ათ. ლარი (100%);
- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერს და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება გეგმა 3,3 ათ. ლარი - ფაქტი 3,1 ათ. ლარი (94%);
- სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები გეგმა 2,0 ათ. ლარი - ფაქტი 2,0 ათ. ლარი (100%);
- ას წელს გადაცემულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები გეგმა 1,3 ათ. ლარი - ფაქტი 1,0 ათ. ლარი (77%);
- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება გეგმა 134,8 ათ. ლარი - ფაქტი 80,0 ათ. ლარი (59%). პროგრამის შესრულებლობა გამოწვეულია იმით, რომ წლის ბოლოს (23.12.2019 წელი) მოხდა თანხის გამოყოფა და ვერ მოესწრო თანხის ათვისება.

ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერი **2018 წელს აღებული ვალდებულებებიდან გაიხარჯა**, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან საქართველოს მთავრობის N480 14.03.2017წ. განკარგულებით ქ.ონში სპორტული კომპლექსის შენობის რეკონსტრუქცია რეაბილიტაციის სამუშაოზე 8,3 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით გაიხარჯა 0,8 ათ. ლარი**; სოფელ უწერაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 22,6 ათ. ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N405 15.02.2018წ. განკარგულებით სოფელ ფარახეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის გაიხარჯა 151,7 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით 8,0 ათ. ლარი**, სოფ. შარდომეთში მდ. რიონზე კალაპოტის წმენდა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოზე 4,5 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით გაიხარჯა 0,2 ათ. ლარი**, სოფელ ბარი-მრავალძლის მისასვლელი გზის ასფალტირების (III ეტაპი) 491,7 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით გაიხარჯა 22,2 ათ. ლარი**.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N1450 27.07.2018წ. განკარგულებით სოფელ სევამი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის გაიხარჯა 16,4 ათ. ლარი და სოფელ ღუნდაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 5,0 ათ. ლარი.

მაღალმთიან დასახლებების განვითარების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N955 03.05.2018წ. განკარგულებით, სოფ. უწერაში მინერალური წყლის „ნაპერწკალა“-ს კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაცემული საავანსო თანხიდან დაბრუნებული იქნა 10,7 ათ. ლარი, ხოლო სოფ. ჭალაში მინერალური წყლის „ჭალის წყალი“-ს კეთილმოწყობის სამუშაოზე გაიხარჯა 27,5 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით** სოფ. უწერაში მინერალური წყლის „ნაპერწკალა“-ს კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაცემული საავანსო თანხიდან დაბრუნებული იქნა 0,6 ათ. ლარი და სოფ. ჭალაში მინერალური წყლის „ჭალის წყალი“-ს კეთილმოწყობის სამუშაოზე გაიხარჯა 1,4 ათ. ლარი; სოფელ პიპილეთში მინერალური წყლის, ფანჩატურის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოზე 67,3 ათ. ლარი და სოფელ ირში მდინარე ჯეჯორაზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 189,8 ათ. ლარი, **თანამონაწილეობით** საკუთარი თანხებიდან 10,0 ათ. ლარი.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხები გაცემულია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან საქართველოს მთავრობის N480 14.03.2017წ.

განკარგულებით სოფ. ზუდალი-შქმერის გზის ასფალტირებისათვის 7,4 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით გაიხარჯა 0,3 ათ. ლარი**; საქართველოს მთავრობის N1213 15.06.2017წ. განკარგულებით სოფელ ლაგვანთაში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოზე 2,0 ათ. ლარი და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან N1401 06.07 2017წ. განკარგულებით შარდომეთში მისასვლელი გზის მეწყრისაგან დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოზე 5,1 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით 0,3 ათ. ლარი**.

მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის N13 18.01.2019წ. განკარგულებით ონის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან 393,2 ათ. ლარიდან გაიხარჯა 294,8 ათ. ლარი, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის გახარჯული იქნა 78,9 ათ. ლარი, სოფლებში ღები, პიპილეთი, ჭიორა, გლოლა, უწერა, ღარი, შეუბანი და სორში საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე 37,9 ათ. ლარი და სოფელ ღებში საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 178,0 ათ. ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N2577 31.12.2018წ. განკარგულებით გამოყოფილია 3 002,0 ათ. ლარი, გახარჯულია 2 963,3 ათ. ლარი: აქედან 639,8 ათ. ლარი გაიხარჯა სოფელ ღარში შიდა სასოფლო გზის ასფალტირებისათვის, ხოლო **თანამონაწილეობით 21,8 ათ. ლარი**, ქ. ონში ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის (I ეტაპი) სამუშაოებზე 1 353,7 ათ. ლარი ხოლო **თანამონაწილეობით 49,8 ათ. ლარი**, სოფელ ბარი-მრავალძლის მისასვლელი გზის ასფალტირების სამუშაოზე 969,8 ათ. ლარი ხოლო **თანამონაწილეობით 41,3 ათ. ლარი**.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობის N215 12.02.2019წ. განკარგულებით ონის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1 925,0 ათ. ლარიდან გახარჯულია 1 899,9 ათ. ლარი: აქედან სოფელ ღარში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენითი სამუშაოები 1 169,5 ათ. ლარი, სოფელ ჭალაში მდ. ჭალურაზე ლოდნაყარისა და ორი ხიდის მოწყობის სამუშაო ღირებულებით 87,1 ათ. ლარი, სოფ. ქვედრულაში მდ. ქვედრულაზე კალაპოტის ფორმირების, ლოდნაყარის მოწყობის და ხიდის რეგულაციების სამუშაოები ღირებულებით 60,3 ათ. ლარი, სოფ. ჯინჭვისში მდ. გომბრულაზე ლოდნაყარის, კალაპოტის ფორმირების და მდ. რიონზე არსებული ხიდის რეგულაციების და ნაპირსამაგრის მოწყობა ღირებულებით 226,2 ათ. ლარი, სოფელ ქვედში დიდ მოსახვევთან გზის საყრდენი კედლისა და მასურამეების უბანში რკინაბეტონის არხის მოწყობა 56,9 ათ. ლარი, სოფ. ქვედში მდ. ქვედრულაზე საჭაპანე ხიდის მოწყობა 44,8 ათ. ლარი, სოფ. საკაოში სახაზოსკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 230,7 ათ. ლარი და სოფ. ქვედში გოგიაანთ უბანში გზის საყრდენი კედლის მოწყობა 24,4 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის N554 15.03.2019წ. განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 520,7 ათ. ლარიდან გახარჯული იქნა 499,7 ათ. ლარი კერძოდ: სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობაზე 307,3 ათ. ლარი, სოფელ ხირხონისში ახალი ამბულატორიის მშენებლობაზე 43,8 ათ. ლარი, სოფელ ლაგვანთაში ახალი ამბულატორიის მშენებლობაზე 39,7 ათ. ლარი, სოფელ ღარში ახალი ამბულატორიის მშენებლობაზე 40,2 ათ. ლარი, სოფელ ნიგვზნარაში ახალი ამბულატორიის მშენებლობაზე 39,8 ათ. ლარი, სოფელ უწერაში არსებული ამბულატორიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 28,9 ათ. ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N208 08.02.2019წ. განკარგულებით დასრულდა სამუშაოები - გაიხარჯა 598,2 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით 54,2 ათ. ლარი**.

საქართველოს მთავრობის N1165 21.05.2019წ. განკარგულებით სოფელ წოლაში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციაზე გახარჯული იქნა 25,2 ათ. ლარი და სოფ. წოლიდან გუფთა ონის სახელმწიფო გზაზე დამაკავშირებელი არსებული გზის რეაბილიტაციაზე 3,9 ათ. ლარი.

მაღალმთიან დასახლებების განვითარების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N1663 18.07.2019წ. განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 1 224,8 ათ. ლარიდან გახარჯული იქნა 1 222,2 ათ. ლარი კერძოდ: სოფელ ლაჩთასა და შეუბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გახარჯულია 750,3 ათ. ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით 39,7 ათ. ლარი** და სოფელ ლარში შიდა სასოფლო გზის ასფალტირებისათვის 471,9 ათ.ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით 10,2 ათ. ლარი.**

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობის N1326 10.06.2019წ. განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 388,4 ათ. ლარიდან გახარჯული იქნა 380,7 ათ. ლარი არტუანის უბანში და ქ. ონში ვახტანგ VI ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ხოლო **თანამონაწილეობით 15,2 ათ. ლარი.**

საქართველოს მთავრობის N2059 26.09.2019წ. განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 26,2 ათ. ლარიდან გახარჯული იქნა 17,2 ათ. ლარი სოფელ სომიწოში წყალსადენის სათავე ნაგებობის ქსელისა და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოებზე.

საქართველოს მთავრობის N751 04.04.2019წ. განკარგულებით გამოყოფილი 100,1 ათ. ლარი სრულად იქნა ათვისებული ელექტროენერჯის გარეშე დარჩენილი სოფლებისათვის 7 ერთეული მზის ელექტრობატარეების შექმნისათვის.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N175 04.02.2016წელი განხორციელდა სოფელ ბარში მისასვლელ გზაზე დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება თანხით 12,6 ათ ლარი, ხოლო **თანამონაწილეობით 14,3 ათ. ლარი** და ქ.ონში შიდა ქუჩების და სოფლებში: ზუდალი, შრომისუბანი, კვაშხეთი, ზვარეთი, ხეთი, ბოყვა, შქმერი, უშოლთა და ხარისთვალი გზის დაზიანებული მონაკვეთების და ქვების შეკეთება ასფალტო ბეტონით 11,3 ათ. ლარი და **თანამონაწილეობით 0,7 ათ. ლარი.**

მიმდინარე წელს საკუთარი თანხებით დაფინანსდა: საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში მდებარე კულტურის სახლის, დ. აღმაშენებლის ქ. N64 მდებარე საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის მოწყობის, ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების, ლაჩთა-შეუბნის გზის მოწყობის, სოფლებში გლოლა, უწერა, პიპილეთი, სორში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების და 2018 წლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებზე 110,2 ათ. ლარით; გამგეობის ძველი შენობის დემონტაჟის პროექტისათვის და დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი მასალების შეფასებისათვის გაიხარჯა 8,9 ათ. ლარით; სოფ. პიპილეთის ადმინისტრაციული სახლის კეთილმოწყობის სამუშაო 51,5 ათ. ლარით; სოფ. ლაჩთაში და ნიგვზნარაში მინი სტადიონის რეაბილიტაცია 4,8 ათ. ლარით; მოედნის ქუჩაზე არსებულ სკვერში ტრენაჟორების მოწყობის სამუშაო 14,8 ათ. ლარით; სოფ. პატარა ღებში სპორტული მოედნის მოწყობა (წილობრივად) 24,7 ათ. ლარით; სანიაღვრე არხების წმენდა 16,4 ათ. ლარით; საბავშვო ბაღში და სამუსიკო სკოლაში დაზიანებული წყალანირების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები 8,3 ათ. ლარით; ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ტექნიკური მომსახურებაზე გაიხარჯა 40,0 ათ. ლარი; ქ. ონში და სოფლებში დასუფთავება და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე 297,5 ათ. ლარი; უმეტესაღყურეოდ დარჩენილი ძაღლების თვშესაფარში გადაყვანის მომსახურების შესყიდვაზე 8,5 ათ. ლარი; ქ. ონში სპორტული კომპლექსის შენობაში წყლის სისტემის და ელენერჯის შიდა ქსელის მრიცხველამდე მიერთების სამუშაოზე 7,0 ათ. ლარი; სოფელ გლოლაში, კომანდელში და ქრისტესში, ქვედში, გომსა და ჯინჭვისში, უწერაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 84,2 ათ. ლარი და სოფლებში წყლის სისტემის ტექნიკურ მომსახურებაზე გაიხარჯა 4,5 ათ. ლარი; სოფელ ცხმორში, სორგითში-ღუნდაში, ჟამქვაში, ონჭევში, ჭიორაში, ღებში, ლაჩთა-შეუბანში და კვაშხეთში გომამეების უბანში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, ბარში დაზიანებული საყრდენი კედლის მოწყობის, სორში გადასასვლელის მოწყობის, ზუდალში სტადიონამდე მისასვლელი გზის, ქ. ონში ქაფიანძის მე-2 ჩიხში დაზიანებული დელის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაიხარჯა 229,3 ათ. ლარი; სპეციალური საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობაზე გაიხარჯა 4,5 ათ. ლარი; ქალაქის ან სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდით სამუშაოზე 36,4 ათ. ლარი;

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პრიოდული შეკეთების სამუშაოებზე 37,9 ათ. ლარი; სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაწმენდითი სამუშაოებზე 26,9 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტში შემოსასვლელში არსებული ბანერის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 1,8 ათ. ლარი, დემეტრე მეორის მოედანზე საზოგადოებრივი სარგებლობის სველი წერტილის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 1,0 ათ. ლარი, მერიის შენობის გარე პერიმეტრზე კამერების მოწყობაზე 2,3 ათ. ლარი, სოფ. ქვედში სკოლის ტერიტორიის ნანგრევებისაგან წმენდაზე 2,7 ათ. ლარი; ქ. ონში გვანცა დედოფლის აღმართზე ყოფილი ბავშვთა თავშესაფრის შენობის ნანგრევებისაგან ტერიტორიის წმენდის სამუშაოზე 6,4 ათ. ლარი; ყოფილი პირველი სკოლის და სოფტექნიკის მიმდებარე ტერიტორიის, ბერშევას სახელობის პარკის და მ. ლებანიძის ქუჩის სანაპირო ზოლის საყოფაცხოვრებო და საამშენებლო მასალებისაგან წმენდის სამუშაოებზე გაიხარჯა 7,5 ათ. ლარი; ქ. ონში არსებული გამწვანებული ტეროტორიების მოვლა პატრონობის, ხე-ბუჩქოვანი მცენარეების შეძენა-დარგვისა და თანმდევი მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვაზე 39,7 ათ. ლარი; სოფელ შქმერში წმინდა ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოზე 18,0 ათ. ლარი და სოფელ სორგითში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ტერიტორიის კეთილმოწყობა 27,1 ათ. ლარი; სოფ. ცხმორში გარე განათების მოწყობის სამუშაო 17,8 ათ. ლარი; დ. აღმაშენებლის ქ. N40 არსებული შენობის სარემონტო სამუშაოები 8,8 ათ. ლარი; მერიის ადმინისტრაციული შენობისათვის კონდიციონერების რეაბილიტაცია-მონტაჟისა და ძალოვანი დრეკადი კაბელის მონტაჟისათვის 6,5 ათ. ლარი; არქივის ოთახის მოწყობაზე 2,1 ათ. ლარი; საკრებულოს შენობის მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 0,7 ათ. ლარი; საინჟინრო საამშენებლო ტექნიკურ სახედაამხედველო მომსახურებაზე გაიხარჯა 295,7 ათ. ლარი;

ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა გაიცა სოფ. ჯინჭვისში, გომში და გლოლაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის 0,7 ათ. ლარი; სოფ. წოლაში გზაზე ბეტონის მოწყობასა და გზის რეაბილიტაციის 0,4 ათ. ლარი; სოფ. ღებში წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 0,3 ათ. ლარი; სოფ. სორგითში წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოზე 0,4 ათ. ლარი; სოფ. ჭიორაში, ჯინჭვისში, ქვედა და ქვედრულაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოზე 0,6 ათ. ლარი; გარე განათებისთვის შეძენილი ლამპიონების მონტაჟზე 0,1 ათ. ლარი; ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარის შემოღობვის, საზღვრის აღმნიშვნელი ბანერისა და დემეტრე მეორის მოედანზე სკვერის შემოღობვის სამუშაოებზე 0,2 ათ. ლარი; სოფ. შქმერში წმინდა ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 1,0 ათ. ლარი; საკრებულოს შენობის გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 0,1 ათ. ლარი.

ადგილობრივი სარეზერვო ფონდიდან გახარჯული იქნა 39,1 ათ. ლარი, აქედან სოფელ ღებში თევრემოსკენ მიმავალი, მეწყერული მოვლენების შედეგად ჩაკეტილი გზების წმენდის სამუშაოები 6,2 ათ. ლარი, სოფელ უწერაში მდინარე მუშუანზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები 6,8 ათ. ლარი, სოფ. ღებში ჭალების უბანში სტიქიისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრის რეაბილიტაციაზე 10,8 ათ. ლარი, სოფელ ქვედში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული შენობისა და 12 საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 4,7 ათ. ლარი და სოფელ შქმერში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული სახლის სახურავის და ჭერის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 3,0 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული პირების სამეშე ხე-ტყით უზრუნველყოფის განხორციელება 7,6 ათ. ლარი.

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთმა შეადგინა 874 092 ლარი.

2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის 2020 წელს შემოსულობების მთლიანი გეგმა შეადგენს 17,216.0 ათ. ლარს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეულმა გადასახდელების 2020 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთის ჩათვლით, რომელიც შეადგენდა 874.1 ათ. ლარს და გეგმა შეადგენს 18,090,1 ათ. ლარს. საკუთარი შემოსავალი

5,331,5 ათ. ლარია, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 12,758.6 ათ. ლარია, რითაც ხორციელდება: ქ.ონში ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის (II ეტაპი) სამუშაოები; ბარი-მრავალძლის მისასვლელი გზის ასფალტირების სამუშაო (VI ეტაპი); ქალაქ ონში და სოფელ სორში არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია; სოფლებში უწერა, გლოლა, პიპილეთი, სორი, ქვემო ბარი წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია; ქალაქ ონში არსებული სპორტული კომპლექსის ექსპლოატაციისათვის საჭირო დამატებითი სამუშაოები; სოფელ ჭიორაში, პიპილეთში და ღებში საჯარო სკოლების შენობის რეაბილიტაცია; სოფელ ღარის და შეუბნის საჯარო სკოლებში გარე სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მიმდინარეობს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები; სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

2020 წლის შემოსულობების წლიური გეგმიდან 17,216.0 ათ.ლარი 10 თვის მონაცემებით შემოსულია 10,172.1 ათ.ლარი (59%); აქედან საკუთარი შემოსავლების წლიური გეგმა 4,854.4 ათ. ლარი, ფაქტად შემოვიდა 3,915.8 ათ.ლარი (80%), სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერის გეგმა 12,361.6 ათ. ლარი, ფაქტი 6,256.3 ათ.ლარი (50%). გადასახდელების წლიური გეგმა შეადგენდა 18,090.1 ათ.ლარს ფაქტიურად გაიხარჯა 10,362.2 ათ.ლარი (57%); აქედან: საკუთარი შემოსულობებიდან გადასახდელების გეგმა 5,331.5 ათ.ლარი ფაქტი 4,149.0 ათ.ლარი (78%), სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გადასახდელების გეგმა 12,758.6 ათ.ლარი ფაქტიურად გაიხარჯა 6,213.2 ათ.ლარი (49%).

თავი III. ონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათასი ლარი					
		2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10195.62	13801.74	12581.44	9142.86	11788.30	17958.30
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4798.17	4812.66	3945.00	2969.86	3295.30	8760.30
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	4686.27	4564.71	3845.00	2849.86	3145.30	8600.30
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	111.90	247.95	100.00	120.00	150.00	160.00
02 02	წყლის სისტემის განვითარება	143.41	1409.41	1150.00	1030.00	1230.00	1330.00
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	138.93	1409.41	1150.00	1000.00	1200.00	1300.00
02 02 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	4.48	0.00	0.00	30.00	30.00	30.00
02 03	გარე განათება	171.77	222.80	222.00	330.00	380.00	430.00
02 03 01	გარე განათება ქსელის ექსპლოატაცია	171.77	200.00	220.00	230.00	230.00	230.00
02 03 01 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	171.77	50.00	50.00	50.00	50.00	50.00

02 03 01 02	გარე განათება ელექტროენერჯის ხარჯი	0.00	150.00	170.00	180.00	180.00	180.00
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	0.00	22.80	2.00	100.00	150.00	200.00
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0.00	552.87	115.00	10.00	10.00	10.00
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	0.00	55.69	115.00	10.00	10.00	10.00
02 04 02	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	0.00	497.18	0.00	0.00	0.00	0.00
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2643.15	2075.43	3006.00	3500.00	5500.00	6000.00
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2643.15	2075.43	3006.00	3500.00	5500.00	6000.00
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	0.00	593.47	425.44	380.00	400.00	400.00
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	652.34	738.00	738.00	738.00	738.00	738.00
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1786.78	3367.09	2980.00	185.00	235.00	290.00
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	0.00	30.00	0.00	0.00	0.00	0.00

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 01 01		3845.0	14595.5
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტით წილობრივ დაფინანსებას სოფელ ბარი-მრავალძლის მისასვლელი გზების რეაბილიტაციას ასფალტის საფარის მოწყობით. პროექტი მრავალწლიანია. განხორციელება დაიწყო 2016 წელს და გაგრძელდა მომდევნო წლებში. პროექტის დასრულება იგეგმება 2021 წელს, მოეწყობა ასფალტობეტონის საფარი 2500 მეტრ მონაკვეთზე. ასევე 2021 წელს მოასფალტდება ზუდალი, შარდომეთის გზის 3000 მეტრი. მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს სრულყოფილად პროექტის შედეგით.</p> <p>პროგრამა ასევე ითვალისწინებს 2020 წლის 28-29 ივლისის მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული გზებისა და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 01 02		100.0	430.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პრიოდულ შეკეთებას ქალაქის და სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდას და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 02 01		1150.0	3500.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მოხდება ონის მუნიციპალიტეტში სოფლებში სევა, ფარახეთი, შარდომეთი, ხეითი, ზვარეთი, ახალი ჩორდი, შრომის უბანი, კვაშიეთი, შუა შქმერი სასმელი წყლის სისტემების ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია, ქსელი მოძველებულია და ადარ ექვემდებარება შეკეთებას. საჭიროა აღნიშნულ სოფლებში ჩატარდეს ცენტრალური მაგისტრალის და შიდა სასოფლო ქსელის სრული რეაბილიტაცია, რომლის დაფინანსებაც განხორციელდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. ასევე დამატებით უნდა მოეწყოს სამარაგო რეზერვუარი და რეაბილიტაცია ჩატარდეს დაზიანებულ სათავე ნაგებობებს.</p> <p>ასევე პროგრამის ფარგლებში აღდგება 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული წყლის სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სასმელი წყლის სისტემა. სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით, შეფერხებების გარეშე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 02 02		0.0	90.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფლებში წყლის სისტემის ექსპლუატაცია წყლის სისტემის მიმდინარე მომსახურება, პერიოდულად ჩატარდება წყლის ვარგისიანობის კონტროლი. ქვეპროგრამის მიზანია შეფერხების გარეშე მიწოდებული იქნას მოსახლეობისათვის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყალი. ქვეპროგრამის მიზანია სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა.			
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სასმელი წყლის სისტემა. სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით, შეფერხებების გარეშე.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 03 01		220.0	690.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების გარკვეულ ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%-ს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული განათების მოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (170 ათ.ლარი).</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა და გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათებით სრულად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორია და შექმნილი კომფორტული გარემო უსაფრთხო გადაადგილებისათვის.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 03 02		2.0	450.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ახალი გარე განათების დამატებული წერტილების აბონენტად აყვანის ხარჯი. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა.			
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათებით სრულად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორია და შექმნილი კომფორტული გარემო უსაფრთხო გადაადგილებისათვის.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 04 01		115.0	30.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით. ასევე პროგრამის ფარგლებში აღდგება 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა შეკეთების სამუშაოები. პროგრამის მიზანია არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა.
მოსალოდნელი შედეგი	საცხოვრებელი კორპუსების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 05 01		3006.0	15000.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ონის საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს, აღმაშენებლის მოედნის, გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერის, მოწყობა-რეაბილიტაციას, რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას კახაბერის, ვახტანგ მე-9, ბაზოვის ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობას. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას. მიმდინარე წელს გაგრძელდება აღნიშნული სამუშაოს III ეტაპი, რომლის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ აღდგენა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების დონე. ხელი შეეწყობა ტურიზმისა და სხვადასხვა კერძო ბიზნესის განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს გაეროს განვითარების (UNDP) ფარგლებში საგრანტო პროექტით მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობას (ღია ბაზრობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა - დახლების დამზადება მონტაჟი). ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ქალაქის იერსახის შეცვლა-გალამაზება, ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას.			
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.			

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 06		425.4	1180.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარე სამუშაოების საზედამხებველო მომსახურება. ქვეპროგრამის მიზანია შეიქმნას მასიმალურად ზუსტი და ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაცია და მოხდეს მიმდინარე სამუშაოების კონტროლი.			
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერის	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 07		738.0	2214.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით განხორციელდება დაფინანსება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თახებით, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე საკუთარი შემოსავლებით წილობრივად. პროგრამის მიზანია გაუმჯობესებული იქნას სოფლების ინფრასტრუქტურა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.			
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხებისა და, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	02 08		2980.0	710.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ონის ტერიტორიაზე უხვი ნალექის დროს არსებული სანიაღვრე სისტემები დაზიანებების გამო ვერ უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას. ხდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და კერძო საკარმიდამო ნაკვეთების და კომერციული ფართების დატბორვა, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ჯანმრთელობას. არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა. უხვი ნალექის პირობებში სანიაღვრე სისტემებმა დაუბრკოლებლად უნდა შეძლოს ზედაპირული და ფურღობებიდან ჩამომავალი წყლის ნაკადის გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება. დაფინანსება მოხდება წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული კალაპოტის წმენდისა და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდა, რათა ჩამდინარე წყლების მართვა მოხდეს შეუფერხებლად.			
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია, კერძო საკარმიდამო ნაკვეთებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვა. მოსახლეთა უსაფრთხო ცხოვრება, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.			

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათასი ლარი					
		2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	309.06	410.00	410.00	432.00	465.00	500.00
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	305.98	350.00	350.00	370.00	400.00	430.00
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	3.08	50.00	50.00	52.00	55.00	60.00
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	0.00	10.00	10.00	10.00	10.00	10.00

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	03 01		350.0	1200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას; მოხდება შერეული ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება. ქვეპროგრამის მიზანია ნარჩენების შერეულობის ეფექტურობის გაზრდა, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.			
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.			

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	03 02		50.0	167.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ონში ასევე სხვადასხვა ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალურად გაზრდილი რეკრეაციული ზონები და მოვლილი მწვანე ნარგავები.
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიება	2021 წლის დაფინანსება ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	03 03		10.0	30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეტესწილად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება.			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.			

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
04 00	განათლება	504.7	1062.8	719.1	318.0	320.0	320.0
04 01	სკოლამდელი განათლება	209.9	264.2	314.0	318.0	320.0	320.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	315.8	405.1	0.0	0.0	0.0
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	215.8	404.2	0.0	0.0	0.0	0.0
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	78.9	78.6	0.0	0.0	0.0	0.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	04 01		314.0	958.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბაგა-ბაღი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 ბაგა-ბაღი სადაც დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 130 ბავშვის სწავლებს, სოფელ გლოლაში იგეგმება სკოლამდელი განათლების ცენტრის კვებით უზრუნველყოფა, ხოლო სოფელ ღებში, უწერაში და ჰიპილეთში სკოლამდელი განათლების ცენტრი 3 საათიანი ფუნქციონირებით. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 45 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი საამლზრდელ პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება.			

	<p>პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესების მიზნით აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ასევე პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შეძენა/მონტაჟს და ავტორიზაციისათვის მომზადებას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი, სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური (სერტიფიცირებული) აღმზრდელები; სტანდარტების შესაბამისი კვება, უსაფრთხო გარემო და დაცული ჰიგიენური ნორმები.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	04 02		405.1	0.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ონში არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები წილობრივი თანადაფინანსებით. პროგრამის მიზანია რეაბილიტირებული იქნას მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღი.			
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საბავშვო ბაღი.			

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათასი ლარი					
		2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	597.3	586.4	745.3	753.9	784.0	792.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	149.2	142.0	172.0	172.0	175.0	175.0
05 01 01	ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	149.2	142.0	172.0	172.0	175.0	175.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	363.4	368.9	489.9	493.5	514.0	522.0
05 02 01	სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	71.7	73.7	84.4	84.4	89.0	89.0
05 02 01 01	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	34.6	35.6	42.4	42.4	45.0	45.0
05 02 01 02	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	37.1	38.1	42.0	42.0	44.0	44.0
05 02 02	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	107.4	100.9	150.5	150.5	155.0	160.0
05 02 03	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	51.5	55.9	63.0	63.0	65.0	65.0
05 02 04	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	60.8	65.5	73.7	73.7	75.0	75.0
05 02 05	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	29.9	34.0	36.9	36.9	43.0	43.0
05 02 06	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	42.2	39.0	81.4	85.0	87.0	90.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	46.2	40.0	40.0	45.0	50.0	50.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების	38.5	35.5	43.4	43.4	45.0	45.0

დაფინანსება							
-------------	--	--	--	--	--	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		172.0	522.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 3 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (48 ბავშვი); თავისუფალი ჭიდაობა (24 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (7 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (14 ბავშვი); კალათბურთი (19 ბავშვი) . სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 110 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 42 ადამიანი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება. 			
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 01 01		42.4	132.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 35 ბავშვი. ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 01 02		42.0	130.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 76 ბავშვი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ხატვას, ვერწერას, კომპოზიციას, მერწვას, თექას, ბატკას, ფოტოხელოვნებას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ქსოვას, ანიმაციას. სკოლაში სულ დასაქმებულია 10 თანამშრომელი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული სამხატვრო ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო განათლებაზე ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 02		150.5	465.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 6 შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული სალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტირის შემსწავლელი წრე სასცენო მეტყველების შემსწავლელი. სულ წრეებში გაწევრიანებულია 220 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია 43 ადამიანი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება. - შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება. - დაგეგმოს მასობრივი ღონისძიებები და უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ჩართულობა. - მოაწიოს ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით. 			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 03		63.0	193.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს კულტურის, განათლების, მეცნიერების კერას. სადაც დაგეგმილია 14 000-ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატები მათ შორის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, შუასაუკუნეების რელიეფები, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, ხელნაწერი ისტორიული დოკუმენტები და სხვადასხვა პატარა კოლექციები. მუზეუმში დასაქმებულია 13 თანამშრომელი. მუზეუმი მასპინძლობს როგორც უცხოელ ასევე ადგილობრივ ვიზიტორებს, აწყობს არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, პალეონტოლოგიურ, ფოლკლორულ ექსპედიციებს რაჭის სხვადასხვა სოფლებში. მიმდინარეობს სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობა და მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებთან. მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ბუკლეტებისა და კატალოგების გამოცემაში. მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა მხატვრების სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, პრეზენტაცია ხდება სხვადასხვა წიგნების, ალბომებისა და კატალოგების. დეზინფიცია-დეზინფიცია უტარდება მუზეუმის ფონდებში დაცულ ხისა და ტექსტილის ნიმუშებს.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: სახვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ექსპონატების შეგროვება დაცვა პოპულარიზაცია, მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ვოლონტერებთან, საზოგადოების ფართო მასების აქტიური ჩართულობა ჩვენი კუთხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეში.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	დაცული და შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები; ვიზიტორთა რაოდენობის მატება;			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 03		73.7	223.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შედგება 1- ქალაქის და 17 სასოფლო ბიბლიოთეკისაგან. წიგნადი ფონდი შეადგენს სოფლად და ქალაქად -61446 ეგზემპლარს. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კითხვის სადამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. დაგეგმილია წიგნადი ფონდების განახლება, შემეცნებითი შეხვედრების ჩატარება სკოლებში.</p>			

მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 05		36.9	122.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეგროვება; ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამიცდილებების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.			
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილი ტურისტული პოტენციალი			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 06		81.4	262.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში საერო-სადღესასწაილო დღეების აღნიშვნას, მუნიციპალური ღონისძიებების ონელობა და ახალი წელი, ავთენტიკური ფოლკლორული ფესტივალების, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების წარმოჩენა-პოპულარიზაციას, ლიტერატურული შემოქმედებითი საღმრთოების, მასტერკლასების, ვორქშოპების, პლენერების ორგანიზებას, უცხოელი პროფესიონალების მოწვევას, ინკლუზიური განათლების გაძლიერებას, სწავლა-სწავლებაში ჩართული პედაგოგების გადამზადებას და ღონისძიებებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ჩართულობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია-დანერგვას. ქვეპროგრამის მიზანია შესაძლებელი გახდეს მუნიციპალიტეტში და რეგიონში მცხოვრები მოსწავლე ახალგაზრდობისათვის არაფორმალური დამატებითი სწავლების სისტემის გაუმჯობესება და სკოლისგარეშე განათლების სრულყოფა. მოსახლეობისათვის სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტმენების დაჯილდოება, მოზადრებსა და მწვრთნელების სტიმულის გავლით უკეთესი შედეგის მიღწევისათვის.			
მოსალოდნელი შედეგი	შენარჩუნებული და განვითარებული კულტურული მემკვიდრეობა; მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში გაზრდილი ჩართულობა; საზოგადოებაში ამადლებული ცნობიერება სკოლისგარეშე, არაფორმალური განათლების, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის ორგანიზების მიმართულებით.			

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		40.0	145.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლებში არსებული ტაძრების მიმდებარე ტერიტორიების შემოღობვა, ეზოების კეთილმოწყობა. სოფელ მრავალძალში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.			
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და განახლებული რელიგიური ძეგლები.			

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 04		43.4	133.4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც მოქმედებს 9 წრე. აქედან 3 შემოქმედებითი, 3 შემეცნებითი და 3 საგნობრივი წრე. განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 180 ბავშვი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია სულ 12 თანამშრომელი.			

	<p>მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ბავშვები ეუფლებიან ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის, ანა-ბანას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და საგნობრივი წრეებში (ფიზიკა, მათემატიკა, ინგლისური) ცოდნის გაღრმავებას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ფასიანი და საერო დღესასწაულების ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს ფარგლებში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა არაფორმალური განათლებაზე; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა გაზრდილი მაჩვენებელი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათასი ლარი					
		2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	225.5	266.0	217.4	235.1	251.5	267.8
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	37.2	41.7	45.4	47.0	48.0	50.0
06 02	სოციალური დაცვა	188.3	224.3	172.0	188.1	203.5	217.8
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	46.9	88.0	88.0	90.0	100.0	105.0
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა	11.7	14.4	14.4	16.0	17.0	18.0
06 02 03	ოზოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შექმნასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	34.2	45.4	48.3	50.0	52.0	54.0
06 02 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
06 02 05	სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა	9.0	10.0	10.0	20.0	20.0	25.0
06 02 06	9 და 26 მაისის, 8 მარტის, 17 ოქტომბრის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	3.1	4.6	4.4	5.0	7.0	8.0
02 06 07	არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები	2.0	4.0	4.0	4.1	4.2	4.3
02 06 08	ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები	1.0	2.4	2.4	2.5	2.8	3.0
02 06 09	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამოყოფილ ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	80.0	55.0	0.0	0.0	0.0	0.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
			06 01	45.4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი			

პროგრამის აღწერა	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 01		88.0	295.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა მოქალაქეებს, თუ ისინი აუცილებლად საჭიროებენ სამედიცინო დიაგნოსტიკურ კვლევებს, სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას და მათი აღნიშნული მკურნალობის ხარჯებს სრულად არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი პროგრამა. დახმარების გაწევა მოხდება შემდეგნაირად: ა) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 0-დან 70 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 80% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;</p> <p>ბ) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 150 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 60% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა;</p> <p>გ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი, აუცილებლობის შემთხვევაში, მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 50% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა;</p> <p>2. ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლეთა დახმარება გაიცემა ყოველთვიურად წლის განმავლობაში თვეში 100 ლარი; 3. მედიკამენტით უზრუნველყოფისთვის ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტებზე ერთჯერადად გაიცემა 100 ლარი; ქვეპროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფინანსური დახმარება.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 02		14.4	51.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ერთჯერადი დახმარება გაიცემა ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, ტეტრაპლეგიის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზის, მკვეთრად გამოხატული პარაპარეზის, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზის გამო მყარი ნარჩენი მოვლენების, გონებრივი ჩამორჩენის, ეპილეფსიის, ფსიქიკური პრობლემების, III-IV ხარისხის სკოლიოზის, ორმხრივი წვირისენოროული (IV ხარისხის) სმენაჩლუნგობის და ინვალიდობის ეტლის საჭიროების მქონე პირებს რომელთაც არ შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესით: ა) წლის განმავლობაში 300 (სამასი) ლარი და ბ) საახალწლო-საშობაოდ 100 (ასი) ლარი. 2. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შემდეგნაირად: 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საახალწლო-საშობაოდ თუ მათზე არ გრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება. ქვეპროგრამის მიზანია არასაპენსიო ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ფინანსური რისკების შემცირება.
მოსალოდნელი შედეგი	ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ფინანსური რისკების შემცირების მიზნით

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ობოლი ზავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ზავშვის შემენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 03		48.3	156.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. ახალშობილის შექმნასთან დაკავშირებით ოჯახებს პირველი შვილის შექმნაზე - 350 ლარის, მეორე შვილის შექმნაზე - 400 ლარი; 2. მრავალშვილიან 3 შვილიან ოჯახებს - 200 ლარის, 4 შვილიან ოჯახებს - 250 ლარის, 5 შვილიან ოჯახებს 300 ლარის, 6 და მეტი მრავალშვილიან ოჯახებს - 350 ლარი. 3. მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობა მოკლებულ ზავშვებზე დახმარება გაიცემა წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დაწყებისთვის 100 ლარის ოდენობით და საახალწლო საშობაოდ ოჯახზე 100 ლარი. 4. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიან (3 და მეტი შვილი) ოჯახებზე საახალწლო საშობაოდ გაიცემა 100 ლარი. 5. მიძიმე სოციალური პირობების მქონე უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი ან თავშესაფარი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათზე გაიცემა ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინის ქირის კომპენსაცია, არაუმეტეს თვეში 100 (ასი) ლარისა. ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის ფინანსური რისკების შემცირება.			
მოსალოდნელი შედეგი	ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ფინანსური რისკების შემცირების მიზნით			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა დაკრძალვის ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 04		0.5	1.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ ვეტერანთა (ომის მონაწილე) გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის მიზანია გრდაცვლილი ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების დახმარება.			
მოსალოდნელი შედეგი	გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 05		10.0	65.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სტიქიური მოვლენების დროს ხანძარი, მეწყერი, წყალდიდობა, გრიგალი, ღვარცოფი რომელთაც გაუნადგურდათ ან მნიშვნელოვნად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი თითოეულ ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება არაუმეტეს 5000 (ხუთათასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მიზანია სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება.			
მოსალოდნელი შედეგი	დაზარალებული ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 06		4.4	20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ პირებს, კერძოდ: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ: 9 მაისთან დაკავშირებით - II მსოფლიო ომის ვეტერანებს 200 ლარით, საქ. ტერ. მთ. ბრძოლაში მონაწილე ქალებზე 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (ასეთების არსებობის შემთხვევაში) - 100 ლარის ოდენობით; 26 მაისს საქ. ტერ. მთ. ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს - 100 ლარის ოდენობით, 17 ოქტომბერს ომის ვეტერანთა დღის აღსანიშნავად სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანებს - 100 ლარის ოდენობით, ახალ წელთან დაკავშირებით - საქ. ტერ. მთ. ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს, II მსოფლიო ომის ვეტერანებს - 100 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის ფინანსური რისკების შემცირება.			
მოსალოდნელი შედეგი	გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 07		4.0	12.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, მარჩენალ დაკარგულთა და აფხაზეთიდან და ცხინვალისა და დევნილი ოჯახების ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის საფასურის (ერთეულის ფასი - 50 თეთრი) და დასუფთავების მოსაკრებლის საფასურის (ერთეულის ფასი - 50 თეთრი) გადასახადით უზრუნველყოფა. მეორე მსოფლიო ომის თითოეულ ვეტერანზე ზამთრის სეზონისთვის საშუალოდ მერქნის შესაძენად ერთჯერადი ფულადი დახმარება. ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა.			
მოსალოდნელი შედეგი	მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2022-2024 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 08		2.4	8.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება, თითოეულზე 500 ლარის ოდენობით. უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი, რომელსაც არ ჰყავს პირველი და მეორე რიგის მემკვიდრე გაიცემა 300 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მიზანია ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებების დაფინანსება.			
მოსალოდნელი შედეგი	ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებების დაფინანსება			

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება მუნიციპალიტეტის საკებულოს, მერიისა და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ადმინისტრაციული ხარჯების. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა და ასოცირებული საწევროს გადასახადი.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	1891.4	1963.2	2462.9	2516.3	2568.8	2672.8
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	1886.0	1948.3	2266.9	2300.3	2322.8	2376.8
01 01 01	ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო	435.3	449.0	550.8	561.7	563.7	572.7
01 01 02	ონის მუნიციპალიტეტის მერია	1387.7	1431.0	1630.4	1647.6	1666.6	1709.6
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	63.0	68.4	85.7	91.0	92.5	94.5
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	5.5	14.9	196.0	216.0	246.0	296.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	9.4	100.0	120.0	150.0	200.0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0.0	0.0	90.5	90.5	90.5	90.5
01 02 03	ასოცირებული საწევრო გადასახადი	5.5	5.5	5.5	5.5	5.5	5.5